საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/80-2007 „19" აპრილი 2007 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ზოგიერთი მოსამართლისათვის საცხოვრებელი

ბინის დაქირავებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის თანამდებობრივ სარგოზე დანამატის განსაზღვრისა და საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 25 იანვრის №78 ბრძანებულების პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2006 წლის 27 დეკემბრის №1/119-2006 გადაწყვეტილების შესაბამისად, –

1. ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში მივლინებულ ჩხოროწყუს რაიონული სასამართლოს მოსამართლე ირაკლი აბშილავას ზუგდიდში საცხოვრებელი ბინის დაქირავებისათვის, საამისოდ საჭირო ხარჯების ანაზღაურებისათვის 2007 წლის 1 აპრილიდან გამოეყოს თვეში 150 ლარი.

2. ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეს დავით გელაშვილს ბათუმში საცხოვრებელი ბინის დაქირავებისათვის, საამისოდ საჭირო ხარჯების ანაზღაურებისათვის 2007 წლის 1 მაისიდან გამოეყოს თვეში 200 ლარი.

3. გორის რაიონულ სასამართლოში მივლინებულ მცხეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე თეა ძიმისტარაშვილს გორში საცხოვრებელი ბინის დაქირავებისათვის, საამისოდ საჭირო ხარჯების ანაზღაურებისათვის 2007 წლის 1 მაისიდან გამოეყოს თვეში 150 ლარი.

4. ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში მივლინებულ ქობულეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ლევან ნუცუბიძეს ოზურგეთში საცხოვრებელი ბინის დაქირავებისათვის, საამისოდ საჭირო ხარჯების ანაზღაურებისათვის 2007 წლის 1 მაისიდან გამოეყოს თვეში 100 ლარი.

5. თერჯოლის რაიონული სასამართლოს მოსამართლეს მერი მაისურაძეს თერჯოლაში საცხოვრებელი ბინის დაქირავებისათვის, საამისოდ საჭირო ხარჯების ანაზღაურებისათვის 2007 წლის 1 მაისიდან გამოეყოს თვეში 100 ლარი.

6. დაევალოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტს კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს ამ გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საცხოვრებელი ბინის ქირის გაცემა.

7. გადაწყვეტილებაში მითითებულმა მოსამართლეებმა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტს გადაწყვეტილების გაცნობიდან 2 კვირის ვადაში წარუდგინონ საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურებისათვის ყველა საჭირო დოკუმენტაცია.

ვალერი ცერცვაძე

საქართველოს იუსტიციის

უმაღლესი საბჭოს მდივანი